

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასისტენტ პროფესორების სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ რექტორის 2022 წლის 1 ივლისის № 195/01-01 ბრძანების საფუძველზე ქიმიის დეპარტამენტში გამოცხადებული კონკურსის უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2022 წლის 11 ივლისის დადგენილების № 56/2022 საფუძველზე დამტკიცებული საკონკურსო კომისიის

შემაჯამებელი ოქმი

12 აგვისტო 2022 წ.

ქ. თბილისი, თსუ

15:30 სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

1. მარინე რუხაძე - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (კომისიის თავმჯდომარე);
2. მარინე ზაუტაშვილი - თსუ-ს პეტრე მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის ფიზიკურ-ქიმიური პროცესების კვლევის ლაბორატორიის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);
3. მაია რუსია - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (კომისიის მდივანი).
4. მარინე ავალიანი - თსუ-ს რაფიელ აგლაძის სახელობის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი;

დღის წესრიგი:

1. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ქიმიის დეპარტამენტის მაკრომოლეკულების ქიმიის კათედრაზე ასისტენტ პროფესორის ვაკანსიაზე გამოცხადებული კონკურსის ჩატარების შედეგების შეჯამება.
2. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად გადაცემა.

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარის ასოცირებული პროფესორის მარინე რუხაძის ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მიერ ორივე ეტაპის შედეგების განხილვის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებების და კონკურსის შედეგების შეჯამების შესახებ.

შეფასების პირველ ეტაპთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ თამარ თათრიშვილის განათლება - თსუ, კვალიფიკაცია-ქიმიკოსი, სპეციალობით მაღალმოლეკულურ ნაერთთა ქიმია. აკადემიური / სამეცნიერო ხარისხი - ქიმიის აკადემიური დოქტორის სამეცნიერო ხარისხი, სპეციალობით - მაღალმოლეკულურ ნაერთთა ქიმია. სამსახურებრივი

გამოცდილება და პედაგოგიური სტაჟი (6 წელზე მეტი) ვაკანსიის პროფილის შესაბამისია და სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს. შესაბამისად, კონკურსანტმა თამარ თათრიშვილმა **I კატეგორიაში** „ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან“ მიიღო შეფასება „**კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს**“.

II - კატეგორიაში პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან - კონკურსანტის პედაგოგიური გამოცდილება და საერთო პედაგოგიური სტაჟი (14 წელი), სასწავლო-მეთოდური საქმიანობა, სახელმძღვანელოები: (1. **მაკრომოლეკულების ქიმია I და II ტომი** (თსუ-ს გამომც. 2021) 2. **პოლიმერული მასალები I და II ტომი** (თსუ-ს გამომც. 2015) 3. „**პრაქტიკული პოლიმერულ მასალებში**“, (თსუ-ს გამომც. 2012); 4. **პოლისილილენები, დამხმარე სახელმძღვანელო**, (თსუ-ს გამომც. 2004 წ). ბოლო 6 წლის განმავლობაში მისი ხელმძღვანელობით დაცულია იყო 4 სამაგისტრო ნაშრომი და 6 საბაკალავრო ნაშრომი. ამჟამად კითხულობს **2 ქართულენოვან და 2 ინგლისურენოვან** საბაკალავრო კურსს, ასევე **3** სამაგისტრო კურსს, რომელიც არის მაკრომოლეკულების ქიმიის კათედრის სასწავლო გეგმაში. წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა სრულად შეესაბამება თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებს. კომისიის გადაწყვეტილებით **II კატეგორიის** მიხედვით კონკურსანტმა მიიღო შეფასება „**მაღალი**“

III კატეგორიაში – **სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა** – ბოლო 6 წელიწადში კონკურსანტს გამოქვეყნებული აქვს იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალში 19 სტატია, მიღებული აქვს მონაწილეობა 41 საერთაშორისო კონფერენციაში. ციტირების ინდექსი **229**, : **h – 8, g- 11**. 2017-2022 წლებში მონაწილეობდა 4 საგრანტო პროექტში. მის მიერ წარმოდგენილი სამოტივაციო წერილი სრულად შეესაბამება ვაკანსიის პროფილს, კარგად ასახავს პრეტენდენტის პოტენციალს, საერთო შეფასება **III კატეგორიის** ორივე ნაწილში არის „**მაღალი**“.

IV კატეგორია – **სხვა სახის აქტივობა (ბოლო 6 წელი)**: იგი აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო კონფერენციების ორგანიზებაში (8 კონფერენცია), 2013 წლიდან არის Apple Academic Press გამომცემლობის რედკოლეგიის წევრი, საქართველოს ქიმიური ჟურნალის აღმასრულებელი დირექტორი. თამარ თათრიშვილის საერთო შეფასება **IV კატეგორიაში** არის „**მაღალი**“

კონკურსის მეორე ეტაპი – **გასაუბრება**: – აღინიშნა, რომ თამარ თათრიშვილის კანდიდატურა სრულ შესაბამისობაშია ქიმიის დეპარტამენტში - კათედრა „**მაკრომოლეკულების ქიმია**“ – კონკურსზე გამოცხადებულ ასისტენტ პროფესორის ვაკანსიასთან. ჩატარებული ფარული კენჭისყრით კომისიამ ერთხმად (4 მომხრე, არცერთი წინააღმდეგი) დაუჭირა მხარი თამარ თათრიშვილის კანდიდატურას.

დაადგინეს:

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ქიმიის დეპარტამენტში, კათედრა – **მაკრომოლეკულების ქიმია** – ასისტენტ პროფესორის ერთ ვაკანსიაზე


გამოცხადებული კონკურსის პირველი (ოქმი N1) და მეორე (ოქმი N2) ეტაპების შედეგების საფუძველზე გამარჯვებულად გამოვლინდა შემდეგი კანდიდატი:

ქიმიის დეპარტამენტი
კათედრა – მაკრომოლეკულების ქიმია
თამარ თათრიშვილი - ასისტენტ პროფესორი

2. კომისიამ იმსჯელა უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ N 118/2014 დადგენილებით (თარიღი 22/12/2014) დამტკიცებული აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების წესის შესახებ და ერთხმად დაადგინა - შემაჯამებელი ოქმი გამოქვეყნდეს საჯაროდ უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

კომისიის თავმჯდომარე,

თსუ ასოცირებული პროფესორი,
ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი




მარინე რუხაძე

თსუ კომისიის თავმჯდომარის
მოადგილე, ქიმიის აკადემიური დოქტორი




მარინე ზაუტაშვილი

კომისიის წევრი, ქიმიის აკადემიური დოქტორი



მარინე ავალიანი

კომისიის მდივანი, ასოცირებული პროფესორი,
ქიმიის აკადემიური დოქტორი



მაია რუსია